წელიწადი I-ლი

ხუთშაბათი 21 ოქტომბერი

ფასი 15 მან.

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებ.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის. 11 საათ. 2 საათამდის. ხარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შაევსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 34 ეროვნულ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 34

ელექტრო თეატრი „ა ბ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროდვალ-სხირტლაძის

ოშაბათიდან 18 ოქტომბრიდან 1920 წ. იქნება ნაჩვენები განსაკუთრებული პროგრამა.

საუცხოვო სურათი
ცეცხლის თაყვანისმცემლები
თქმულება სპარსეთის მგოსან ბაფიზზე (შემ-ედინი).
6 ნაწილათ.
ხუდიაკოვის მუსიკა.
ამ სურათისათვის თბილისიდან სპეციალურად მოწვეულია ცნობილი მოსკოველი იმპროვიზატორი ი. ნ. ხუდიაკოვი.

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი
„ტ რ ი უ მ ფ ი“
ნ. ბროდვალ-სხირტლაძის
სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავ პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

ორშაბათიდან, 1920 წლის 18 ოქტომბრიდან საუცხოვო პროგრამა
სეზონის ბოევიკი
ივლისის ღამის
საიდუმლო
დრამა 5 დიდ ნაწილათ.

ბათომის სახ. მოხალ. კოოპერატივ
„ს ხ ი ვ მ ი“
(შერემეტ. ქ № 18)
იყიდება თუთუნი
80 ფუთი, პაჭკეგში.
ნიმუშების ნახვა შეიძლება მაღაზიაში და მაღაზიის კანტორაში.

ხუთშაბათს 21, ოქტომბერს დანიშნულია
საქ. სოც. დემ. მ. ჰარტ. ბათ. კომიტეტის
კ რ ე ბ ა.
პრეზიდიუმი სთხოვს ყველა კომიტეტის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ ძლიერ საჩქარო საკითხების გასარჩევად.
კომიტეტის მდივანი.

ოლლას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ
გ ა ი ხ ს ნ ა
ლ ო ტ ო.
საქველმოქმედო მიზნით.
ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.
შავი ჭირის საწინააღმდეგო საბჭოსაგან.
ქალაქიდან და ოლქიდან გასვლისთვის საჭირო შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრის
მოწმობების მიღება
შეუძლია მხოლოდ იმ პირთ, რომლებმაც აიცრენ შავი ჭირის საწინააღმდეგო ამ-ცრელ რაზმში (ყოფილი საოლქო საავადმყოფოს მეოთხე პალატა, ბულვარისა და შერემეტევის ქუჩის კუთხე).
შავი ჭირის საწინააღმდეგო საბჭოს თავმჯდომარე ექიმი ელიავა.
37. (3—1)

საზოგადო საკრებულო დარბაზი.
ხუთშაბათს 1920 წ. ოქტომბრის 21 საღ. 7 საათზე ევროპიდან ახლად დაბრუნებული ერ.-დემოკ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ფილოსოფიის დოქტორი
მ-ქე ტეტე მარგველაშვილი
წაიკითხავს ლექციას:
სოციალიზმი
და ევროპის ახლანდელი ეკონომიური
მდგომარეობა
თეზისები:
1. სიმდიდრეთა განაწილების პროცესი,
2. წარმოება და მუშები,
3. წარმოების დაცემა,
4. ევროპის დავალიანება,
5. მუშათა კავშირები,
6. სოციალისტური პოლიტიკა,
7. სოციალიზმის მარცხი,
8. საქართველო და სოციალიზმი,
9. საქართ. ეკონომიური ვითარება
10. ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი).
ლექციის შემდეგ გაიმართება პამფლეტი.
ბილეთები გაიყიდება მხოლოდ ლექციის დღეს კლუბის შესავალთან 4 საათიდან 7 საათამდე. ფასები 50 მან.—250 მანეთამდე.

ტ ე ა ტ რ ი პ ი ნ ო-პ ა ლ ა ს ი
განსაკუთრებული ყურადღება.
ორშაბათიდან 25 ოქტომბრიდან სენსაცია!
„ცეკავშირის“ მიერ ბ-ნ ბოგზიტიძის ხელმძღვანელობით გადაღებული სურათი ბათომი, თბილისი და მთელი
საქართველო ეკრანზეა
ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა
და პროვინციული მოგზაურობა
თქვენ ნახავთ საქართველოს ყველა მხატვრულ კუთხეებს. თქვენ ნახავთ საქართველოს დემოკრატიის უდიდეს ზეიმს.

ბათუმი 21 ოკტომბერი.

ოლქის ზოგიერთ კუთხიდან ჩვენ გვწერენ, რომ ადმინისტრაციის მეთაურნი შეუფერებლად იქცევიან და ხალხში სახელს უტეხენ რესპუბლიკის მთავრობას.

ბათომის მახლობლად ერთ სოფელში კომისარს ისეთი რამ ჩაუდენია, რომ ხალხი ზნე—ჩვეულების შეურაცყოფის პროტესტით აულაპარაკებია.

შესაძლებელია ჩვენი ცნობები საბედნიეროდ მართალი არ გამოდგეს და მძიმე დანაშაული არაფერი აღმოაჩნდეს ჩვენს ადმინისტრაციას ოლქში, მაგრამ რახან ვრცელდება ხმები, ილაყბინება ხალხი, იგი დაუყონებლივ უნდა შემოწმდეს. საერთოდ ადმინისტრაციის მოქმედებას ოლქში სასტიკი თვალყურის დევნება სჭირია.

აქ, ბათომის ოლქში, ადმინისტრაცია რჩეულ პირთაგან უნდა შესდგებოდეს, მაგრამ ამის მიღწევა სისრულით არ მოხერხდება, რაც აიხსნება საერთოდ ადმინისტრაციისთვის მომზადებულ კეთილ სინდისიერ ძალის სიმცირით. ეს გარემოება თვითონ ბ-ნმა საგანგებო კომისარმაც აღნიშნა ამას წინად პრესის წარმომადგენელთან საუბარის დროს. სამწუხაროდ ბათომისკენ გამოეშურა ყველა უადგილოდ მავალი თუ რესპუბლიკის ცენტრებში უვარგისად ცნობილი ელემენტები, თავის თავად ცხადია ასეთ ატესტაციის ხალხისგან ბევრი ნაკლი წარმოდგება მუშაობის დროს.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ადმინისტრაციას არსებითი დეფექტები აქვს. ვითვალისწინებთ რა ამას, აუცილებლობად მიგვაჩნია მოხდეს ადმინისტრაციის გაცხრილვა-გაწმენდა, აქ ბათომის ოლქში უცხოელიც და ძირეული მცხოვრებიც ადმინისტრაციის კანონიერ თუ უკანონო მოქმედებას სთვლის საქართველოს მთავრობის მოქმედებათ. ხალხი უმთავრესად სანამ მასში ჩვენ სწავლა განათლება თვით-ცნობიერებას შევიტანდეთ, ჩვენი ინტელიგენცია გავიდოდეს ხალხში სამუშაოდ, რესპუბლიკა და მთავრობა ხალხის წინაშე წარდგენილია მოხელეთა სახით.

ამის გამო ბათომის ოლქს განსაკუთრებულად ამორჩეული და უძლიერეს ერთგულების, და ნდობის ხალხი სჭირია. ბათომის ოლქი იდეური სამოღვაწეო ასპარეზია და აქ ყველა არ გამოდგება. ოლქის მართველობამ და ცენტრის მთავრობამ ამ გარემოებას სერიოზულად უნდა გაუწიონ ანგარიში და აქეთ წარმოგზავნონ ისეთი პირები, რომლებიც სისწორით დაიცავენ გაატარებენ— კანონებს და მთავრობას, სამსახურის შესრულების დროს, სახელს არ გაუტეხენ.

სადღეისო შენიშვნები.

მოყვარეს პირში უძრახე
მტერს პირს უკანა.
ხალხური

ცუდი მემკვიდრეობა,

მრავალი წლების რევოლუციონურმა ბრძოლამ ერთგვარი აღზრდა მისცა ჩვენს დემოკრატიას, შეაჩვია დემოკრატიულ დისციპლინას, შეაყვარა თავისუფლება და ამ თავისუფლებისათვის ბრძოლა. მაგრამ მან მრავალ დადებითი მხარეებთან ერთად ერთი ძლიერ ცუდი ჩვეულება დაგვიტოვა.

—გვიყვარს ბევრი ლაპარაკი.

ჩვენ ჩვიფალით ფრაზაში, სიტყვების მორევში ვცურავთ.

სიტყვების რაოდენობით რომ ჩვენი საქმიანობა განიზომებოდეს, ჩვენ იმდენი რამე გვექნება გაკეთებული, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ფინანსიურ—ეკონომიური და არც სასურსათო კრიზისი არ იქნებოდა.

მიყრუებულ კუთხეებსაც კი თავისი ოქროპირები ყავს, რომლებიც მოვალეთ თვლიან თავის თავს საათები ატარონ დიდი, საქვეყნო პოლიტიკის საქმეების გარჩევაში.

კონსერვატორი არა ვარ და ნურვინ დამწამებს თითქოს თეთრსა და შავ ძვალს ვარჩევდე

— თითქოს პოლიტიკაზე და საქვეყნო საქმეებზე ლაპარაკი მარტო ჩვეულთა ხვედრათ მიმაჩნდეს.

არა.

დიდათ სასიხარულოა, რომ ჩვენი ხალხი ესოდენ ცნობის მოყვარეობას იჩენს, ყური ბამბით არ აქვს დახშული და სურს გაიგოს მის გარშემო რა ხდება.

მაგრამ იმასაც ვერ უარყოფს ვერავინ, რომ არამც თუ გლეხისთვის, საშუალო ინტელიგენტისათვისაც კი ძნელია ზოგჯერ რომელიმე მოვლენის სწორათ დაფასება, ამიტომ შესაძლებელი იყო სოფლებში საღამოობით გაზეთების საჯაროთ კითხვა, აზრთა-გაცვლა გამოცვლა. ეს სამუშაო საათების უსაქმურათ გატარებასაც თავიდან აცვაცილებდა და მეორე მხრითაც სასარგებლო იქნებოდა

— ხალხი სწორათ დააფასებდა საზოგადოებრივ მოვლენებს და არ იქნებოდა იმდენი აზრი, რამდენიც თავია.

მაგრამ ეს სხვათა შორის.

სოფელს რა უნდა გაუმტყუნოთ, როცა ქალაქიც სიტყვების ზღვაში იღრჩობა.

ჩვენ ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ განუწყვეტლივ, გამოგვაქვს დადგენილებანი, რეზოლიუციები, მიმართვები და საქმით კი მეასედსაც არ ვაკეთებთ.

საილისტრაციოდ ავიღოთ თუ გინდ ეს ფაქტი: ნ. ჟორდანიას ამ ორი წლის განმავლობაში აუარებელი დეპეშები მოუვიდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან სხვა და სხვა შემთხვევების გამო და ამათგან 100-ში 90-თი დაახლოვებით ასე თავდებოდა: ჩვენ მზად ვართ თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ვიბრძოლოთ საქართველოს და მსოფლიო დემოკრატიის საკეთილდღეოთ ან ანალოგიური აზრი იყო გატარებული.

ყველას გაახარებდა დეპეშების და მილოცვათა ავტორების ასეთი თავდადება დემოკრატიისადმი, მაგრამ ორი წლის მუშაობის შედეგების გამორკვევის შემდეგ ვხედავთ, რომ ყველა ეს დაპირებები დაპირებებათ დარჩა. მესამედიც რომ აგვესრულებია იმ დაპირებათაგან, რომელსაც ასე უხვად ვიძლეოდით, ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით.

დღეს რა გვაქვს?

— მრავალი გაუნაღდებელი თამასუქები და საშინელი ეკონომიურ კრიზისი მძიმე ტვირთად რომ გვაწევს.

ჩვენ ვიმუშავებთ სხვა და სხვა ზომებს ეკონომიური გაჭირვების შესამსუბუქებლად. ყველა ჩვენგანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თუ ამ ზომებს ცხოვრებაში გავატარებთ ნახევარად მაინც თავისუფლად ამოვისუნთქავთ. მაგრამ ჩვენს საქმიანობას ერთი დიდი მტერი ყავს რომელიც დიდათ შეუშლის ხელს ამ ზომების სისწრაფით გატარებას, ეს გახლავთ

— ფრაზა, ლაპარაკი.

უნდა განვიკურნოთ ამ სენისგან, გადავეჩვიოთ ზედმეტ ლაპარაკს. დროა შევიგნოთ, რომ

— დრო ფულია

ამერიკელები ჩვენზე ჭკვიანი ხალხია, თორემ დროს ასეთ დაფასებას არ მისცემდენ. ჩვენც ამ აზრით უნდა განვიმსჭვალოთ.

საქართველოს კიდითი კიდე უნდა გაისმას:

— ნაკლები ლაპარაკი, მეტი მუშაობა!

მ. წ—ძე.

ქრონიკა.

ქალაქის საქმეები. 19 ოქტომბერს დანიშნული შეერთებული კრება საადგილ-მამულო-იურიდიულ და ტეხნიკურ კომისიებისა, რომელსაც უნდა გაერჩია ფრიად საჩქარო კითხვები, არ შესდგა, რადგან მარტო ალ. გ. მავროპულო გამოცხადდა.

— აგრეთვე არ შესდგა ამავე საღამოს მეორეზე ჯერ დანიშნული მედიკო-სანიტარული კომისიის სხდომა.

მომარაგების სამინისტროს დავალებით ცეკავშირი აწყობს აჭარის სხვა და სხვა პუნქტებში სასურსათო დუქნებს.

ამ ბოლო დროს ნურია ნორმალურ სახეს იღებს, სხვა და სხვა მოუწყობელი სავაჭროები აიღეს და დუქნის წინ გზები იწმინდება.

ბათომის სასურსათო განყოფილებამ თხოვნით მიმართა შრომის ბირჟას მიაწოდონ მას ცნობები უმუშევართათვის მიწოდებულ სასურსათო ბ რათების რაოდენობის და დარიგებულ რაციონების შესახებ.

სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივი „სხივი“ უკვე გაიხსნა და ვაჭრობა დაიწყო.

ბათომის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ ბიუროს წევრები ყოველ-დღე მორიგეობენ კავშირის ბინაზე (მუშათა სახლი № 7). ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6-7 საათამდე.

ბათომში ჩამოვიდა თბილისის სომეხ ექიმთა საზოგადოების დავალებით ექიმი ხარაზოვი, რომელსაც დაევალა მიიღოს ზომები სომეხ ლტოლვილთა შორის სად. სანაინში მომხდარ შავი ჭირის შემთხვევების გამო.

ამის გამო 10 ოქტომბრისათვის სომხეთის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ბათომში ბ-ნმა ათაბეგიანმა განსაკუთრებული თათბირი დანიშნა ამ საკითხის შესახებ.

ელექტრონის ქუჩაზე აღმოუჩენიათ ერთი შავი ჭირით ავათმყოფი.

ქ. ბათომის სისხლის სამართლის მილიციის უფროს ბ-ნ ნესტორ გაბუნიას ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ-ნ ვლადიმერ სულაქველიძისათვის სამსახურის თავის დანებების ბატაკი მიუცია.

დღეს საღამოს 7 საათზე საკრებულო დარბაზში ევროპიდან დაბრუნებული ფილოსოფიის დოქტორი ბ-ნი ტ. მარგველაშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: სოციალიზმი და ევროპას ეხლანდელი მდგომარეობა,

დღეს მუშათა სასახლეში საღამოს 6 საათზე დანიშნულია ბათომის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის სხდომა.

დღეს საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ბათომის კომიტეტის ბინაზე (საბაჟოს ქუჩა) [illegible] ლიი კომიტეტის სხდომა.

19 ოქტომბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 34 უმუშევარი, კიდევ ჩაეწერა 7 უმუშევარი.

ბ-ნ გ. ვალიანს განზრახვა აქვს ბათომში საპნის ქარხანა და მოაწყოს. სათანადო პროექტი წარუდგინა ქალაქის თვითმართველობას.

ბერძენთა ეროვნულმა საბჭომ ქალაქის გამგეობას წარუდგინა სია იმ პირთა, რომელთა დანიშვნას ქალაქის სკოლების მასწავლებლათ საბჭოს სასკოლო სექცია სასურველად სცნობს.

შავი ჭირის საწინააღმდეგო საბჭოს დადგენილებით ბათომიდან და ოლქიდან გასვლისთვის საჭირო შავი ჭირის საწინააღმდეგო მოწმობები მიეცემა მხოლოდ იმ პირთ, ვინც შავი ჭირის საწინააღმდეგო რაზმში აიცრა.

სახელმწიფო ბანკის მმართველი ბ-ნ დ. ვაჩნაძე საგანგებო კომისარს სთხოვს საჩქაროდ განთავისუფლებულ იქმნას სახელმწიფო ბანკის შენობები კერძო მდგმურთაგან, რათა ხელი არ შეეშალოს ბანკის წესიერ ოპერაციებს.

რამოდენიმე თვეა რაც ქალ. ბათომში და მის განაპირა ქუჩებში დაძრწიან ბინების გამტეხავი ქურდები. ამ მოვლენას მიაქცია შესაფერი ყურადღება და სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწის გრიგ. ქუბაბრიას მიერ აღმოჩენილ იქნა ქალაქის განაპირა ნაწილში (აგარაკი რებიკინისა) გამტეხავთა ბუდე. დატყვევებულ ქურდებს აღმოაჩნდა აუარებელი ნაქურდალი ნივთები, სხვათაშორის გაქურდულ ჯემალ აფენდი კედანჯი-ოღლის ნივთები. დატყვევებულები გამოტყდენ თავიანთ ნამოქმედარში. მეთაურათ გამტეხავ ქურდებს ყავდათ: ივანე მიქაბაძე, იოსებ მურადოვი და დავით ვარდანეიშვილი. მოპარულ ნივთების გამსაღებლათ კი ყავდათ აბრამ ბატაშვილი. გამოძიება წარმოებს.

ღამის 20 ოქტომბერს გაქურდულ იქნა სასტუმრო „ვერდენი“, წაღებულია დიდი თანხის ავეჯეულობა და ტანისამოსი. სისხლის სამართლის მილის მილიციის მოსამსახურეთა მიერ მიღებულია შესაფერისი ზომები.

სისხლის სამართლის მილიციის მიერ შეპყრობილ იქნა მიკიტანი ვასილისძე აკოპოვი, რომელსაც ბრალდებოდა სამსიან აკენიანცის გაქურდვა.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწის ილარ. ლომაძის მიერ შეპყრობილ იქნა ყარამან ბოჩახიძე. რომელმაც პეტროგრადის ქუჩაზე მორგებული გასაღებით დღის სამ საათზე გააღო სავაჭრო სახლი პანიდის. ის მილიციის მიერ შეპყრობილ იქნა მეორე კომისარიატში მაგრამ, იქიდან გაპარვა მოახერხა და სისხლის სამართლის მილიც. მიერ მეორეთ იქნა შეპყრობილი.

წერილი მარადიდიდან.

ამ დღეებში ხალხმა აირჩია რამდენიმე კაცი და გაგზავნა ბათომის საგანგებო კომისართან ადმინისტრაციის საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

—აქეთ დიდი სიცივეები დაიწყო.

—ბათომში გაგზავნილ კაცებს სხვათაშორის დაევალათ სურსათის და სათესლის საქმის მოგვარებაც.

მარადიდელი.